



საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



KA030170337935014

№ 01-33/ო

11 / თებერვალი / 2014 წ.

ჰემოფილით ან/და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიით დაავადებული პაციენტების ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატის ინფუზიასთან დაკავშირებით სამედიცინო მომსახურების სრულყოფის მიზნით დამატებით გასატარებელ ღონისძიებებთან შესახებ

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების, მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, 27-ე მუხლის, 38-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის და „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს ჰემოფილით ან/და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიით დაავადებული პაციენტებისათვის ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატის ინფუზიასთან დაკავშირებით სამედიცინო მომსახურების სრულყოფის მიზნით გასატარებელი დამატებითი ღონისძიებები, დანართის შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო):

ა) მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების ამოქმედებასთან დაკავშირებით, ინფორმაციის განთავსება სამინისტროს ვებ-გვერდზე;

ბ) საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და რეჟიმის დეპარტამენტს სამედიცინო დაწესებულებების ინფორმირება ბრძანებით დადგენილი ღონისძიებების თაობაზე.

3. ეთხოვოს დარგობრივ ასოციაციას უზრუნველყოს ჰემოფილით ან/და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიით დაავადებული პაციენტების მართვის სპეციფიკისა და ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატების ინფუზიის თემაზე უწყვეტი სამედიცინო განათლების პროგრამების შემუშავება/პერიოდული სრულყოფა, აკრედიტაციისა და პერსონალის სწავლების მიზნით შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

4. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი

დიმიტრი მახათაძე

ჰემოფილით ან/და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიით დაავადებული პაციენტებისათვის ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატის ინფუზიასთან დაკავშირებით სამედიცინო მომსახურების სრულყოფის მიზნით გასატარებელი დამატებითი ღონისძიებები

მუხლი 1. მიზანი

ჰემოფილით ან/და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიით დაავადებული პაციენტებისათვის ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატის ინფუზიასთან დაკავშირებით სამედიცინო მომსახურების დამატებითი ღონისძიებების მიზანია ჰემოფილით ან/და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიით დაავადებული პაციენტებისათვის (შემდგომში - პაციენტი) ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატის ინფუზიასთან დაკავშირებით სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის შემდგომი გაუმჯობესება.

მუხლი 2. სამედიცინო პერსონალი

1. ჰემოფილით ან/და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიით დაავადებული პაციენტებისათვის ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატების დროული ინფუზიის სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე, სამედიცინო დაწესებულებამ, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატის ინფუზია უნდა უზრუნველყოს შემდეგი ექიმი-სპეციალისტის მეთვით:

- ა) ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი;
- ბ) კრიტიკული მედიცინის სპეციალისტი;
- გ) ჰემატოლოგ-ტრანსფუზიოლოგი;
- დ) ექიმი-სპეციალისტები, რომლებსაც გააჩნიათ სუბსპეციალობის მოწმობა - „კლინიკური ტრანსფუზიოლოგია“.

2. ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატის ინფუზიის უფლება, ასევე, მიეცემა იმ ექიმ-სპეციალისტს, რომელიც გაივლის პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებულ შესაბამის პროგრამას და მიიღებს კურსის გავლის დამადასტურებელ დოკუმენტს.

მუხლი 3. სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებელი დაწესებულება

1. ჰემოფილით ან/და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიით დაავადებული პაციენტების სამედიცინო მომსახურების პროცესს ზედამხედველობას უწევს ჰემოფილით ან/და სისხლის შედედების სხვა მემკვიდრული პათოლოგიით დაავადებული პაციენტებისათვის სახელმწიფო პროგრამის მიმწოდებელი დაწესებულება (შემდგომში - პროგრამის მიმწოდებელი).

2. პროგრამის მიმწოდებელი ვალდებულია, აწარმოოს პაციენტთა ბაზა რეგიონულ ჭრილში, რომელშიც სხვა მონაცემებთან ერთად ასახული უნდა იყოს შემდეგი სახის ინფორმაცია: პაციენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, დიაგნოზი, დაავადების ფორმა, საჭირო ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატი, დოზა, საკონტაქტო ინფორმაცია.

3. პროგრამის მიმწოდებელი, სერვისზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით, ვალდებულია, სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში

დააკონტრაქტოს სამედიცინო დაწესებულება ყველა რაიონში, რომელსაც აქვს აუცილებელი სიმძლავრე (ამ დანართის მე-2 მუხლის შესაბამისად განსაზღვრული სამედიცინო პერსონალი) სერვისის 24 საათიან რეჟიმში მისაწოდებლად.

4. პროგრამის მიმწოდებელმა ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატის ინფუზიის უზრუნველყოფის მიზნით უნდა შეიმუშაოს პაციენტების სამედიცინო დაწესებულებებში განაწილების (მიკუთვნების) სქემა პაციენტის ფაქტობრივი მისამართის გათვალისწინებით.

5. პროგრამის მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს:

ა) დაკონტრაქტებული სამედიცინო დაწესებულებებისათვის განაწილებული (მიკუთვნებული) პაციენტების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება (პაციენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ასაკი, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, დიაგნოზი, დაავადების ფორმა, საჭირო ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატი, დოზა, საკონტაქტო ინფორმაცია);

ბ) პაციენტის ინფორმირება იმ დაკონტრაქტებული დაწესებულების შესახებ, რომელშიც განაწილდა (მიკუთვნებულია) ის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატის ინფუზიის ჩატარების მიზნით;

გ) პაციენტის მიერ ადგილსამყოფელის ცვლილების (ხანმოკლე მივლინება, შვებულება და ა.შ) შემთხვევაში მისი ინფორმირება ხელმისაწვდომი დაკონტრაქტებული სამედიცინო დაწესებულების შესახებ.

6. პროგრამის მიმწოდებელი ვალდებულია, 24 საათიან რეჟიმში მიიღოს შეტყობინება (შესაძლებელია ელექტრონული ფორმატით) პაციენტის მდგომარეობის შესახებ, მოახდინოს მისი იდენტიფიცირება, უზრუნველყოს როგორც პაციენტის, ისე სამედიცინო დაწესებულების კონსულტირება. ყოველი ასეთი შემთხვევა აისახება შესაბამის დოკუმენტაციაში.

7. პროგრამის მიმწოდებელი დაწესებულება, პაციენტისთვის დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად სამედიცინო დაწესებულების შერჩევას, უფლებამოსილია, იხელმძღვანელოს, „სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელთათვის პასპორტიზაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2013 წლის 4 აგვისტოს N01-33/5 ბრძანების შესაბამისად, ელექტრონული ჯანდაცვის საინფორმაციო პორტალზე განთავსებული, სამედიცინო დაწესებულებების პასპორტიზაციის მონაცემებით.

მუხლი 4. მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება

მომსახურების მიმწოდებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სამედიცინო დაწესებულება (მ.შ. პროგრამის მიმწოდებელი და დაკონტრაქტებული), რომელსაც ჰყავს ამ დანართის მე-2 მუხლით განსაზღვრული პერსონალი.

მუხლი 5. პაციენტის/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულება

პაციენტმა/კანონიერმა წარმომადგენელმა უნდა აცნობოს ადგილსამყოფელის ცვლილების (ხანმოკლე მივლინება, შვებულება და ა.შ) შესახებ მკურნალ ექიმს და/ან პროგრამის მიმწოდებელს.

მუხლი 6. სამედიცინო მომსახურების პროცესი

1. პაციენტი უფლებამოსილია, ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატის ინფუზიის მიზნით, დაკონტრაქტებული და/ან პროგრამის მიმწოდებელი დაწესებულების გარდა, მიმართოს მისთვის გეოგრაფიულად ხელმისაწვდომ ნებისმიერ მომსახურების მიმწოდებელ სამედიცინო დაწესებულებას.

2. მომსახურების მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატის ინფუზია პაციენტის მოთხოვნისთანავე.

3. პაციენტი/კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია, მომსახურების გაწევამდე დაწესებულებას მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია პაციენტის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის შესახებ (მ.შ. პროგრამის მიმწოდებლის საკონტაქტო ინფორმაცია). დაწესებულება უკავშირდება პროგრამის მიმწოდებელს, რომელიც ბაზაში პაციენტის იდენტიფიცირების შემდგომ ახდენს სამედიცინო დაწესებულების კონსულტირებას.

4. სამედიცინო დაწესებულება, პროგრამის მიმწოდებელთან გავლილი კონსულტაციის გათვალისწინებით, ახორციელებს ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატის ინფუზიას.

5. პაციენტისათვის ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატის ინფუზიაზე უარის თქმის შემთხვევაში, პაციენტი/კანონიერი წარმომადგენელი აცნობებს პროგრამის მიმწოდებელს, რომელიც, შემუშავებული სქემის მიხედვით, ახდენს პაციენტის გადამისამართებას სხვა სამედიცინო დაწესებულებაში (მ.შ. დაკონტრაქტებულ კლინიკაში), სადაც მას გაეწევა ადეკვატური დახმარება.

6. სამედიცინო მომსახურების გაწევამდე აუცილებელია პაციენტის, ხოლო გაცნობიერებული გადაწყვეტილების უნარს მოკლებული ან ქმედუუნარო პაციენტის შემთხვევაში - კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებული თანხმობა.

7. ინფუზია ტარდება პაციენტის მიერ წარმოდგენილი ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატებით.

8. პაციენტების მხრიდან წარმოდგენილი ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატების ვარგისიანობაზე პასუხისმგებელია პაციენტი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი, რაც აისახება პაციენტის წერილობითი ინფორმირებული თანხმობის ფორმაში.

9. პაციენტისთვის ანტიჰემოფილური ფაქტორ-კონცენტრატის ინფუზიის შემდგომ, სამედიცინო დოკუმენტაციაში კეთდება სათანადო ჩანაწერი, ასევე, მიეთითება ინფუზიისათვის გამოყენებული პრეპარატის ჯგუფი, სავაჭრო დასახელება, მწარმოებელი, სერია და დოზა.

10. პაციენტისთვის ჩატარებული სამედიცინო მომსახურების თაობაზე გაიცემა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა ფორმა - NIV-100/ა, რომელიც პაციენტის მიერ მიეწოდება მკურნალ ექიმს/პროგრამის მიმწოდებელ დაწესებულებას.

11. მომსახურების მიმწოდებელმა სამედიცინო დაწესებულებამ 24 საათში უნდა უზრუნველყოს პროგრამის მიმწოდებლის ინფორმირება პაციენტისთვის ჩატარებული პროცედურის/ჩარევის თაობაზე (ინფორმირება შესაძლებელია სატელეფონო ან ელექტრონული ფორმატით).

მუხლი 7. უარი სამედიცინო მომსახურების გაწევაზე

1. იმ შემთხვევაში, როდესაც სამედიცინო დაწესებულების მხრიდან ადგილი აქვს მომსახურებაზე უარის თქმის ფაქტს, პროგრამის მიმწოდებელი უფლებამოსილია, ოფიციალურად აცნობოს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს (შემდგომში - სამინისტრო) ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტს.

2. წარმოდგენილი შემთხვევის განხილვის შემდგომ, კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების დარღვევის აღმოჩენისას, სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტი მიმართავს სამინისტროს შესაბამის სტრუქტურას რეაგირების მიზნით.

მუხლი 8. ანგარიში

პროგრამის მიმწოდებელი, პროგრამული ანგარიშგების გარდა, კვარტალში ერთხელ, სამინისტროს აწვდის ინფორმაციას დაკონტრაქტებული/მომსახურების მიმწოდებელი დაწესებულებების მიერ განხორციელებული ინფუზიების რაოდენობისა და უარის თქმის შემთხვევების შესახებ, სამედიცინო დაწესებულებებისა და პაციენტის საპასპორტო მონაცემების მითითებით.